ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N 61

19.11.2021 *ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2*
12:30 საათი *ოთახი 2-01*

მიმდინარე წლის 19 ნოემბერს, 12:30 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **გიორგი ჩაკვეტაძე** (კომისიის თავმჯდომარე), **დავით ჭელიძე** (კომისიის წევრი), **ავთანდილ ცინცაძე** (კომისიის წევრი) და **შალვა ოგბაიძე** (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი **გაიოზ თალაკვაძე**, მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე **ლევან მიქავა,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი **ირაკლი გვილავა,** დაინტერესებული მოქალაქეები **მაკა ტოხიშვილი** და **მიხეილ ირემაძე,** მსოფლიო რეკორდსმენი ძალოსნობაში **გურამ უსტიაშვილი** და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 4 (ოთხი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი *(საფუძველი წერილი N12-032131941-03, 15.11.2021)* (**მომხსენებლები - გაიოზ თალაკვაძე**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი, **ირაკლი გვილავა** - კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი).
2. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71 - 134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი *(საფუძველი წერილი N12-032132137-03, 17.11.2021)* (**მომხსენებელი - გაიოზ თალაკვაძე**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის, დადგენილების პროექტის კომისიას წარუდგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა.

გაიოზ თალაკვაძე - მოგესალმებით, მოგახსენებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობა განისაზღვრა 1 199 917,0 ათასი ლარით, რაც 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 149 614,5 ათასი ლარით. ხოლო პრიორიტეტები გადანაწილებულია შემდეგნაირად: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა - 224 753,9 ათასი ლარი; ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება - 236 062,6 ათასი ლარი; ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 138 817,1 ათასი ლარი; ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 1 845,0 ათასი ლარი; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 41 115,2 ათასი ლარი; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 176 487,0 ათასი ლარი; განათლება - 202 686,9 ათასი ლარი; კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 43 805,5 ათასი ლარი; საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 5 217,8 ათასი ლარი; ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 129 126,3 ათასი ლარი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 144 817,0 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის: გადასახადები 752 368,2 ათასი ლარი; დამატებული ღირებულების გადასახადიდან მისაღები შემოსავალი შეადგენს 542 368,2 ათას ლარს, გაზრდილია 80 012,4 ათასი ლარით; საწარმოთა ქონებაზე გადასახადი 174 000,0 ათასი ლარი, გაზრდილია 14 000,0 ათასი ლარით; ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი 20 000,0 ათასი ლარი, გაზრდილია 1 000,0 ათასი ლარით; მიწაზე ქონების გადასახადი შეადგენს 16 000,0 ათასი ლარს. გრანტები განისაზღვრა 219 005,0 ათასი ლარით, გაზრდილია 13 068,9 ათასი ლარით; სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები სპეციალური ტრანსფერი განისაზღვრა 175 000,0 ათასი ლარით; სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან შეადგენს - 43 500,0 ათას ლარს. სხვა შემოსავლები განისაზღვრა 173 443,8 ათასი ლარით, მათ შორის: შემოსავალი საკუთრებიდან 6 000,0 ათასი ლარით; სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი 50 000,0 ათასი ლარით; მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 48 000,0 ათასი ლარით; სანქციები 50 000,0 ათასი ლარით; სხვადასხვა შემოსავლები 19 443,8 ათასი ლარით.

ირაკლი გვილავა - მოგესალმებით, 2022 წელს დედაქალაქის ბიუჯეტის პროექტით სპორტის განვითარების ხელშეწყობისა და ახალგაზრდული ღონისძიებების ბიუჯეტი (კოდი 08.06, კოდი 08.08) 23 368,9 ათას ლარს შეადგენს. 2022 წელს გაგრძელდება წარმატებული სპორტსმენი ბავშვების და მწვრთნელთა მხარდაჭერა, პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა, სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია. ასევე, გათვალისწინებულია სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა. სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ქვეპროგრამის ფარგლებში გაგრძელდება მულტიფუნქციური სპორტული ცენტრების მშენებლობა ვარკეთილში.

სპორტის განვითარების ხელშეწყობის (კოდი 08.06) ბიუჯეტი წარმოდგენილია 20 616,0 ათასი ლარით, მათ შორის: სპორტული ღონისძიებები (კოდი 08.06.01) – 5 892,6 ათასი ლარი, რაც 2021 წლის ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 492,6 ათასი ლარით; მწვრთნელთა მხარდაჭერა (კოდი 08.06.02) დაფინანსდება 2 625,0 ათასი ლარით, 2021 წელთან შედარებით გაზრდილია 328,1 ათასი

ლარით; წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისებისთვის (კოდი 08.06.05) გათვალისწინებულია 429,0 ათასი ლარი და 2021 წელთან შედარებით გაზრდილია 39,0 ათასი ლარით; სპორტული მოედნების მშენებლობა-რეკონსტრუქცია (კოდი 08.06.03) დაფინანსდება 200,0 ლარით, როგორც 2021 წლის ბიუჯეტში; სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08.06.04) წარმოდგენილია 9 928,0 ათასი ლარით, რაც 2021 წლის ბიუჯეტთან შედარებით 6 709,3 ათასი ლარითაა შემცირებული; პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 08.06.06) წარმოდგენილია 1 514,4 ათასი ლარით, რაც 2021 ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 140,0 ათასი ლარით. ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამა (კოდი 08.08) წარმოდგენილია 2 752,9 ათასი ლარით, და 2021 წელთან შედარებით გაზრდილია 500,0 ათასი ლარით, მათ შორის: ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი 08.08.01) დაფინანსდება 1 963,0 ათასი ლარით, მატება 2021 წლის ბიუჯეტთან შედარებით შეადგენს 463,0 ათას ლარს; თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება (კოდი 08.08.02) წარმოდგენილია 789,9 ათასი ლარით და 2021 წლის ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 37,0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძე - მნიშვნელოვანია, რომ 2022 წლის ბიუჯეტის პროექტში, დაგეგმილი ყველა სპორტული და ახალგაზრდული პროექტი მაქსიმალურადაა გათვალისწინებული. მატებაა მწვრთნელთა მხარდაჭერის პროგრამაში. ყველა დიდი ინფრასტრუქტურული პროექტი, რაც დაიწყო, როგორიცაა მულტიფუნქციური ცენტრების მშენებლობა/მოწყობა აქტიურად გაგრძელდება. გვაქვს გარკვეული წინადადებები და შენიშვნები რაც აისახება დასკვნაში და ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნული გათვალისწინებული იქნება ბიუჯეტის გადამუშავებულ ვერსიაში. ასევე მატებაა ახალგაზრდული ღონისძიებების მიმართულებით, რაც კარგია ახალი პროექტების დაფინანსებისთვის, მატებაა რაიონული გამგეობების, სპორტული და ახალგაზრდული პროგრამების მიმართულებით და კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები რაიონებში (კოდი 08.11) წარმოდგენილია 1 100,0 ათასი ლარით, რაც 2021 წელთან შედარებით ჯამში გაზრდილია 100,0 ათასი ლარით და ათივე რაიონზე თანაბრადაა გადანაწილებული; კეთილმოწყობის ღონისძიებები რაიონებში (კოდი: 020910, 020911, 020912, 020913, 020914, 020915, 020916, 020917, 020918, 020919) წარმოდგენილია 7 406, 604 ათასი ლარით, რაც 2021 წელთან შედარებით 89 454,0 ათასი ლარით მეტია. დედაქალაქში 2022 წელს 28 ახალი სპორტული მოედანი მოეწყობა, 50 სპორტულ სტადიონს შეკეთება-რეაბილიტაცია ჩაუტარდება და სხვადასხვა მისამართზე ფიტნეს-ტრენაჟორების 66 კომპლექტი მოეწყობა; უფასო სწავლება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეებში (კოდი 06020601) წარმოდგენილია იმავე თანხით, როგორც 2021 წლის ბიუჯეტით, 627,5 ათასი ლარით; უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში (კოდი 06020603) წარმოდგენილია 688,5 ათასი ლარით, რაც 2021 წლის ბიუჯეტთან შედარებით 45,0 ათასი ლარით ნაკლებია. ჯამში 100,0 ათასი ლარით.

მინდა საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელს ვთხოვო განმარტება, ისეთ ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებით რომელიც არაა ასახული წარმოდგენილ ბიუჯეტში, მაგრამ პროექტი უკვე შემუშავებულია. ასევე მწვრთნელთა მხარდაჭერის პროგრამის და მცირე მატების შესახებ, რაც წარმატებული სპორტსმენების წახალისების პროგრამაშია. ვინაიდან მალე ახალი მოწვევის საკრებულო შეიკრიბება და შეუდგება მუშაობას, გაწეული სამუშაოებისთვის მინდა მადლობა გადავუხადო მუნიციპალიტეტის ყველა სამსახურსა და თანამშრომელს.

ირაკლი გვილავა - მოგესალმებით, რაც შეეხება წარმატებული **ახალგაზრდა** სპორტსმენთა წახალისების მატებას, ეს განპირობებულია მთავრობის გადაწყვეტილებით და 10%-იანი ზრდაა ყველა მსგავსი მიმართულებით. მწვრთნელთა მხარდაჭერის პროგრამის ზრდაც ძალიან მნიშვნელოვანია და მატების გადანაწილების საკითხიც ვფიქრობ მოგვარებადია. რაც შეეხება ინფრასტრუქტურულ პროექტებს, რომელიც ბიუჯეტის პირველად ვარიანტში არაა ასახული, მაგრამ პროექტირება უკვე დასრულებულია, უკვე არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე ბიუჯეტის ცვლილებასთან ერთად მოხდება შესაბამისი თანხების ეტაპობრივი ასახვა. მნიშვნელოვანია ვარკეთილის მულტიფუნქციური სპორტული ცენტრის სამუშაოების განახლება, სადაც ტენდერში გამარჯვებული ახალი კომპანია გამოვლინდა და ასევე სასამართლოს გზით ძველი კონტრაქტორისგან ხდება რიგი თანხების დაბრუნება. რაც შეეხება ასათიანის ქუჩაზე სპორტული ცენტრის სამშენებლო სამუშაოებს, შენობის მდგრადობიდან გამომდინარე ფაქტიურად გვიწევს მისი დემონტაჟი და თავიდან აშენება.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, დავით ჭელიძე, ავთანდილ ცინცაძე, შალვა ოგბაიძე - (4), წინააღმდეგი - (0), თავი შეიკავა - (0).

ქალაქ თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე კომისიის დასკვნა შენიშვნებით და რეკომენდაციებით, ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 72-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად გადაეგზავნოს ქონების მართვის და საბიუჯეტო-საფინანსო კომისიას შემდგომი რეაგირებისთვის.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტში დაგეგმილი ცვლილებების შესახებ კომისიას წარუდგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა.

გაიოზ თალაკვაძე - მოგესალმებით, მოგახსენებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს ფაქტიურად მიღებული შემოსულობების გათვალისწინებით, რომლის თანახმად იზრდება ქონების გადასახადიდან მისაღები შემოსავლები - 24 843,9 ათასი ლარით და არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლები - 17 361,0 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება - 42 204,9 ათასი ლარით და შეადგენს 1 270 531,8 ათას ლარს. ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის

სტრუქტურული ერთეულების და რაიონის გამგეობების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულისა და დამატებითი რესურსის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი 01 02 05) – 34 000,0 ათასი ლარით, დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) პროგრამის ასიგნება - 10 500,0 ათასი ლარი, ბიზნესის სტიმულირება (კოდი 04 01) – 166,9 ათასი ლარი, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია (კოდი 06 01 06) ქვეპროგრამის ასიგნება – 200,0 ათასი ლარი, ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 01 07) – 900,0 ათასი ლარი, ტრანსპლანტაცია (კოდი 06 01 13) – 2 200,0 ათასი ლარი, კომუნალური სუბსიდირება (კოდი 06 02 01) – 300,0 ათასი ლარი, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება (კოდი 06 02 02) – 965,0 ათასი ლარი, სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები (კოდი 06 02 09) – 500,0 ათასი ლარით, სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება (კოდი 06 02 22) – 150,0 ათასი ლარი, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს (კოდი 10 21) პროგრამის ასიგნება - 243,8 ათასი ლარი, სარეზერვო ფონდი (კოდი 10 22) – 500,0 ათასი ლარით, ასევე იზრდება სოციალური პროგრამები რაიონული გამგეობების ბიუჯეტში.

სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებით ცვლილება შეეხო სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, მშენებლობას (კოდი 08 06 04), რომელიც შემცირდა 240,3 ათასი ლარით. მცირდება უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში (კოდი 06 02 06 03) – 167,0 ათასი ლარით. მცირდება კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 08 11 03) – 30,0 ათასი ლარით, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 08 11 04) – 70,0 ათასი ლარით, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 08 11 05) – 88,7 ათასი ლარით, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 08 11 07) – 15,0 ათასი ლარით, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 08 11 08) – 72,5 ათასი ლარით, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 08 11 09) – 75,9 ათასი ლარით. 2021 წლის ბიუჯეტში აღნიშნული ცვლილება გამოწვეულია შიდა ეკონომიებისა და ნოემბრის თვეში ქონების გადასახადიდან მიღებული შემოსავლის გადაჭარბებით შემოსვლის შედეგად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71 - 134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი (მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, დავით ჭელიძე, ავთანდილ ცინცაძე, შალვა ოგბაიძე - (4), წინააღმდეგი - (0), თავი შეიკავა - (0).

ქალაქ თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71 - 134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

კომისიამ ასევე მოუსმინა ძალოსნობაში მსოფლიო რეკორდსმენ **გურამ უსტიაშვილს** მოუსმინეს, სპორტსმენმა კომისიას გააცნო მისი მიღწევები და სამომავლოდ, რეკორდის გასაუმჯობესებლად მხარდაჭერა ითხოვა, კომისიამ მზაობა გამოთქვა, რომ საქართველოს რეკორდების ფედერაციის ხელმძღვანელ პირებთან და მერიის შესაბამის სამსახურთან ერთად სამუშაო შეხვედრას უახლოეს მომავალში გაუწევს ორგანიზებას.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი ჩაკვეტაძე